პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 155 (1825) ○ კვირა, 28 დეკემბერი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი ○ ფასი 30 კაპ.

## კალათბურთი

### გათამაშების ცხრილები

#### ქალები

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ტტტ რიგა | 5 | 5 | 0 | 5 |
| სკიფი ლენინგრადი | 6 | 5 | 1 | 5 |
| უსკა ტარტუ | 6 | 4 | 2 | 4 |
| „სერპ ი მოლოტ" მ. | 3 | 3 | 0 | 3 |
| ელზ მოსკოვი | 3 | 2 | 1 | 2 |
| სპი თბილისი | 3 | 2 | 1 | 2 |
| ლეტი ლენინგრადი | 5 | 2 | 3 | 2 |
| „დინამო" მოსკოვი | 3 | 1 | 2 | 1 |
| კპი კაუნასი | 4 | 1 | 3 | 1 |
| სკვო ლენინგრადი | 6 | 1 | 5 | 1 |
| მაი მოსკოვი | 3 | 0 | 3 | 0 |
| პედ. ინსტ. ოდესა | 3 | 0 | 3 | 0 |

#### ვაჟები

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| სკიფი კაუნასი | 4 | 4 | 0 | 4 |
| „დინამო" თბილისი | 3 | 3 | 0 | 3 |
| სკიფი კიევი | 4 | 3 | 1 | 3 |
| ვეფ რიგა | 4 | 3 | 1 | 3 |
| ლეტი ლენინგრადი | 4 | 2 | 2 | 2 |
| სკვო რიგა | 2 | 1 | 1 | 1 |
| „დინამო" მოსკოვი | 2 | 1 | 1 | 1 |
| „სპარტაკი" ლენინგრ. | 2 | 1 | 1 | 1 |
| სპი თბილისი | 3 | 1 | 2 | 1 |
| სკიფი ალმა-ატა | 4 | 1 | 3 | 1 |
| ცსკ მო | 2 | 0 | 2 | 0 |
| ტპი ტალინი | 5 | 0 | 5 | 0 |

შენიშვნა: თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ლენინგრადის ლეტი-ს ქალთა გუნდების შეხვედრის ანგარიში დეპეშაში შეცდომით იყო გადმოცემული. თბილისელმა კალათბურთელებმა მოიგეს ეს მატჩი ანგარიშით — 49:45.

#### ქალები

**23 დეკემბერი, რიგა.** ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის კალათბურთელები შეხვდნენ ოდესის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლებს. გაიმარჯვეს რიგელებმა — 78:49.

**24 დეკემბერი, ლენინგრადი.** ლენინგრადის არმიელთა გუნდი შეხვდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივს. შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა — 62:41.

**25 დეკემბერი, ტარტუ.** ადგილობრივი გუნდისა და ოდესის პედინსტიტუტის კალათბურთელთა შეხვედრა დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით — 65:37.

#### ვაჟები

**23 დეკემბერი, რიგა.** რიგის ვეფმა დაამარცხა ალმა-ატის სკიფი — — 81:49.

**25 დეკემბერი, რიგა.** საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა რიგის არმიელებმა განიცადეს დამარცხება ანგარიშით 58:64 ალმა-ატის სკიფთან შეხვედრაში.

## ჩვენი გაზეთის ჯილდოზე

**ბაკურიანი.** (ჩვენი სპეც. კორ.). 27 დეკემბერს იაგორას ველზე სტარტი მიეცა მოთხილამურეთა შეჯიბრებას რბენაში გაზეთ „ლელოს" ჯილდოზე. წინა დღეებში ბაკურიანში ნამდვილი „სათხილამურო" ამინდები იდგა, მაგრამ შეჯიბრების წინა ღამეს ცა მოიღრუბლა და თოვლიც ოდნავ შედნა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ თხილამურებს უჭირდა სრიალი, შეჯიბრებამ კარგად ჩაიარა.

გამარჯვებაში ერთმანეთს ეცილებოდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის ორი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, მესტიის „კოლმეურნის", ბაკურიანის კოლმეურნეობის ძირეული კოლექტივის, წაღვერის, ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნისა და მედსანშრომის მოთხილამურეთა გუნდები.

ვაჟთათვის შეჯიბრება მოეწყო რბენაში 15 კილომეტრზე, ხოლო ქალთათვის — 5 კილომეტრზე. ვაჟთა რბენის სტარტზე გამოვიდა 50 სპორტსმენი. თვითეულ სპორტსმენს ორჯერ უნდა გაერბინა 7,5 კილომეტრიანი დისტანცია. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტის ვ. სუხანოვის გამარჯვებით — 1:01.19,0. ქალთა შეჯიბრებაში მონაწილეობდა 16 მოთხილამურე. ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა გასულ წელსაც გამარჯვებულმა ვ. გავამ — 23.16,0.

დღეს შედგება შეჯიბრების დასკვნითი შეხვედრები.

**ო. გელაშვილი**

## საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობის ყოველდღიურ

**მ**ოსკოვში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები: სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება. 2. ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცება და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარება ჩვენს ქვეყანაში. 3. კანონების პროექტები „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები", „სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ", „სამხედრო დანაშაულთა გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ", „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების კანონმდებლობის საფუძვლები", სამხედრო ტრიბუნალების დებულება", „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის წარმოების საფუძვლები", 4. ცვლილებათა და დამატებათა შეტანა სსრ კავშირის კონსტიტუციის 48-ე და 83-ე მუხლებში და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა ა. გ. ზვერევმა, რომელმაც ილაპარაკა კომუნიზმის მშენებლობის უახლოესი წლების ამოცანების უდიდეს მნიშვნელობაზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ. შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე — ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცება და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარება ჩვენს ქვეყანაში, — მოხსენებებით გამოვიდნენ რუსეთის სფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ი. ა. კაიროვი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს უფროსი გ. ი. ზელენკო.

ამხ. ი. ა. კაიროვმა თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა მოზარდი თაობის აღზრდის, საბჭოთა სკოლის როლის ამაღლების ამოცანების დიდ მნიშვნელობას. საბჭოთა ხალხმა დიდი ინტერესით განიხილა თეზისები ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ უჭერენ მხარს და იწონებენ რა თეზისებს, განსაკუთრებული კმაყოფილებით ხვდებიან სკოლის გარდაქმნის ძირითად იდეას — მწარმოებლური შრომისა და სწავლების შეერთების, ცხოვრებასთან სკოლის კავშირის პრინციპის განხორციელებას, საშუალო სკოლაში ზოგადი პოლიტექნიკური და პროფესიული განათლების შეხამებას.

ამხ. ი. ა. კაიროვი ახასიათებს ზოგადი განათლების დასახულ სისტემას და სკოლების ტიპებს. განზრახულია საშუალო განათლება გაიყოს ორ ეტაპად. პირველი ეტაპი იქნება სავალდებულო რვაწლიანი სკოლა, რომელიც იქმნება ახლანდელი შვიდწლიანი სკოლის ნაცვლად.

მეორე ეტაპი განხორციელდება რამდენიმე გზით. პირველი მათგანია, როცა ახალგაზრდობა რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ მიდის წარმოებაში, იღებს პირველდაწყებით საწარმოო მომზადებას პროფესიულ სკოლაში ბრიგადული შეგირდობის ან მოკლევადიანი კურსების გავლით, ხოლო შემდეგ წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლობს მუშა ახალგაზრდობის ან სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში.

მეორე გზაა, როცა ახალგაზრდობა, რომელმაც რვაწლიანი სკოლა დაამთავრა, შედის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომის პოლიტექნიკურ სკოლაში, რომელშიც შემოღებულია საწარმოო სწავლება.

მესამე გზაა, როცა ახალგაზრდა, რომელმაც რვაწლიანი სკოლა დაამთავრა, შედის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სკოლებში, ტექნიკუმებსა და სასწავლებლებში.

ამხ. გ. ი. ზელენკომ ვრცლად ილაპარაკა პროფესიულ-ტექნიკური განათლების ძირეულად გაუმჯობესებისა და მნიშვნელოვანი გაფართოების გზების შესახებ.

უმაღლესი განათლების შესახებ მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი ვ. პ. ელიუტინი, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისების საფუძველზე და იმ წინადადებაზე დაყრდნობით, რომლებიც წამოყენებულია თეზისების განხილვის მსვლელობაში, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრომ შეიმუშავა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების სისტემის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სწავლის შეერთებას მწარმოებლურ შრომასთან.

დღის წესრიგის მესამე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. ს. პოლიანსკიმ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ ზემოაღნიშნულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

## აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე

ამ დღეებში შტუტგარტში (დასავლეთ გერმანია) გაიხსნება ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკური კომისიის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ანალიზს გაუკეთებენ მოსკოვში ჩატარებულ მსოფლიო პირველობის შედეგებს. სხდომაზე განიხილავენ აგრეთვე ტანვარჯიშში მსოფლიო თასის ჩატარების საკითხებს. როგორც ცნობილია, ამ შეჯიბრების მოწყობა ქალთათვის განზრახულია კრაკოვში, ხოლო ვაჟთათვის — კოპენჰაგენში.

სხდომაზე დამტკიცდება აგრეთვე როგორც ვაჟთა, ისე ქალთა სავალდებულო ოლიმპიური პროგრამა. აღმასკომის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში გაემგზავრნენ საბჭოთა კავშირის ტანვარჯიშის სექციის წარმომადგენლები ნ. მირონოვი და ტ. დემიდენკო.

## კიდევ ორი გამარჯვება

**მოსკოვი.** (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). ჩვენი ქვეყნის უძლიერეს წყალბურთელთა საკავშირო პირველობის მეორე წრის IX ტურში ყველაზე საინტერესო გამოდგა თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდების მატჩი, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა მესამე საპრიზო ადგილის ბედი. დაიწყო თუ არა თამაში, თბილისელებმა დაჰკარგეს ანგარიშის გახსნის ნაღდი შესაძლებლობა — ხელსაყრელი მდგომარეობიდან ბართაევის ნატყორცნი ბურთი აცდა კარს. ზუსტად ორი წუთის შემდეგ სტუდენტებმა კარგად გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა და ანგარიში გახსნა. 1:0 მოსკოველთა სასარგებლოდ დიდხანს არ შერჩა სადემონსტრაციო დაფას. გვახარია-ჩიქვანაიას კომბინაციის შედეგად ანგარიში გათანაბრდა — 1:1. შესვენების შემდეგ გვახარიამ წინ გაიყვანა თავისი გუნდი 4-მეტრიანი საჯარიმო დარტყმიდან — 2:1.

ამ დღეს კვლავ განიცადა დამარცხება თბილისის „ბურევესტნიკმა", ამჯერად ლვოვის „დინამოსთან" — 0:3. მოსკოვის „დინამომ" დაძაბულ ბრძოლაში ძლია კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდს — 4:3, კიევის სკიფ-მა მოუგო მოსკოვის „შრომით რეზერვებს" — 3:2, ცსკ მო-მ — მოსკოვის ავტოქარხნის გუნდს— 3:2, ლენინგრადის სკიფი-სა და საზღვაოსნო სასწავლებლის გუნდების მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

26 დეკემბერს თბილისის „დინამო" შეხვდა მოსკოვის ავტოქარხნის წყალბურთელებს. პირველივე წუთებზე თბილისელებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა. ანგარიში გახსნა გვახარიამ 4-მეტრიანი საჯარიმოდან. ეს ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა პირველ ტაიმში. მეორე ტაიმში უხეში თამაშისათვის აუზიდან გააძევეს ავანესიანი, რაც კარგად გამოიყენეს ავტოქარხნელებმა და ანგარიში გათანაბრდა—1:1. ბრძოლა უაღრესად გამწვავდა. დინამოელთა ერთ-ერთი სწრაფი შეტევა უძლიერესი დარტყმით დაამთავრა ჩიქვანაიამ და თბილისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

ლენინგრადის საზღვაოსნო სასწავლებლის გუნდმა დაამარცხა თბილისის „ბურევესტნიკი" — 3:2, მოსკოვის „შრ. რეზერვებმა" — ლვოვის „დინამო" — 3:1, ცსკ მო-მ — წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის წყალბურთელები — 3:1, მოსკოვის „დინამომ"—ლენინგრადის სკიფი — 3:1, მოსკოვის უნივერსიტეტმა — კიევის სკიფი — 4:0.

• • •

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 დეკემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" მ. | 21 | 19 | 2 | 0 | 89:39 | 40 |
| ცსკ მო | 21 | 16 | 3 | 2 | 80:37 | 35 |
| „დინამო" თბ. | 21 | 16 | 1 | 4 | 76:45 | 33 |
| უნივერს. მ. | 21 | 15 | 2 | 4 | 72:38 | 32 |
| კკფ | 21 | 9 | 2 | 10 | 70:57 | 20 |
| სკიფი ლ. | 21 | 7 | 5 | 9 | 62:57 | 19 |
| ზილ მ. | 21 | 7 | 4 | 10 | 57:56 | 18 |
| სკიფი კ. | 21 | 8 | 2 | 11 | 56:62 | 18 |
| საზღ. სასწ. ლ. | 21 | 6 | 4 | 11 | 46:58 | 16 |
| „შრ. რეზ." მ. | 21 | 6 | 0 | 15 | 63:88 | 12 |
| „დინამო" ლვ. | 21 | 3 | 3 | 15 | 52:77 | 9 |
| „ბურ." თბ. | 21 | 0 | 0 | 21 | 33:148 | 0 |

# რამდენიმე შენიშვნა ძალოსანთა წვრთნის შესახე[ბ]

საბჭოთა ძალოსნები უძლიერესები რომ არიან მსოფლიოში, ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1953 წლიდან დაწყებული ჩვენი ქვეყნის გუნდი მსოფლიოს უცვლელი ჩემპიონია. საბჭოთა ძალოსნებს ეკუთვნით მსოფლიო რეკორდების უმრავლესობა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი ძალოსნების ტექნიკური შედეგები კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა, რომ ისინი კლასიკური სამჭიდის მოძრაობებში თანაბარი სიძლიერით გამოდიოდნენ.

ამ უკანასკნელ ხანს საბჭოთა ძალოსნებმა არა ერთი მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესეს აჭიმვაში, მაგრამ შედარებით დაბალ შედეგებს უჩვენებენ ატაცსა და აკვრაში. ბოლო ხანებში მათ დაჰკარგეს 6 მსოფლიო რეკორდი, მათ შორის რ. ჩიმიშკიანის რეკორდები ატაცსა და აკვრაში.

ამას წინათ „სოვეტსკი სპორტში" გამოქვეყნდა ზ. ბალაიანის წერილი, სადაც ავტორი ხაზს უსვამს, რომ ჩვენი ძალოსნები გაიტაცა აჭიმვაში ვარჯიშმა და ჩამორჩნენ ატაცსა და აკვრაში. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ჩვენთანაც. საქართველოს ძალოსნებმა ბოლო ხანებში არაერთგზის გააუმჯობესეს რესპუბლიკის რეკორდები აჭიმვაში, მაგრამ ატაცსა და აკვრაში პროგრესი გაცილებით ნაკლებია.

თუ გადავხედავთ ჩვენი რესპუბლიკის ძალოსანთა ტექნიკურ შედეგებს, შევამჩნევთ, რომ მათი მიღწევები აჭიმვაში უფრო დიდია (რა თქმა უნდა, შეფარდებით), ვიდრე ატაცსა და აკვრაში.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ჩვენი ძალოსნების ტექნიკურ შედეგებს სამჭიდის ცალკეულ მოძრაობებში.

| | აჭიმვა | ატაცი | აკვრა |
|---|---|---|---|
| ვ. რადიმაშვილი | 127,5 | 117,5 | 150 |
| რ. გალოიანი | 130 | 115 | 150 |
| გ. მიმინოშვილი | 125 | 115 | 150 |
| გ. კაცობაშვილი | 107,5 | 100 | 132,5 |
| ტ. წერალოვი | 125 | 105 | 140 |
| ი. ყუბანეიშვილი | 125 | 120 | 155 |
| ა. გრიგორიანი | 100 | 100 | 130 |
| ხ. ხანუკაშვილი | 108 | 102,5 | 135 |
| რ. დათიკაშვილი | 92,5 | 97,5 | 120 |
| რ. ჩიმიშკიანი | 107,5 | 110 | 145 |
| გ. ჩოჩიევი | 125 | 115 | 150 |
| ქ. ებრალიძე | 132,5 | 130 | 165 |
| ი. ქართველიშვილი | 147,5 | 132,5 | 165 |
| გ. კოშაძე | 130 | 120 | 160 |
| გ. ბაზაძე | 115 | 120 | 145 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, მხოლოდ 3 ძალოსანს აქვს უკეთესი შედეგი ატაცში, ვიდრე აჭიმვაში და გარდა ამისა, ნაწილი ძალოსნებისა, რომლებსაც ადრე უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდათ ატაცში, ამ ბოლო ხანებში დაბალ შედეგებს უჩვენებენ აჭიმვაში. ეს შეიძლება ითქვას ყუბანეიშვილის, გალოიანისა და სხვათა შესახებ.

როგორც ცხრილიდან ჩანს, არც აკვრაში გვაქვს კარგი მდგომარეობა. ჩვენი ძალოსნების შედეგები თითქმის გაიყინა 150 კგ-ზე, მაშინ, როცა მათი შესაძლებლობა ამ მოძრაობაში გაცილებით მეტია. აჭიმვასა და აკვრას შორის შედეგების სხვაობა საშუალოდ 15-20 კილოგრამია, მაშინ, როცა იგი 30-40 კგ უნდა იყოს. თუ ადრე სსრ კავშირის რეკორდსმენთა სიაში ხშირად ვხვდებოდით საქართველოს ძალოსანთა სახელს, დღეისათვის აქ მხოლოდ რ. ჩიმიშკიანი შემორჩა, რომელსაც საბჭოთა კავშირის რეკორდები ეკუთვნის ატაცსა და აკვრაში. დანარჩენთა ტექნიკური შედეგები საგრძნობლად ჩამორჩება საბჭოთა კავშირის საუკეთესო ძალოსანთა მიღწევებს, რაც განაპირობა დაბალმა მაჩვენებლებმა ატაცსა და აკვრაში.

ჩვენის აზრით ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ მწვრთნელთა უმრავლესობა ყურადღებას უთმობს აჭიმვას. ეს მოძრაობა კი მოძრაობის კომბინაციისა და შესრულების სირთულით უფრო მარტივია, ვიდრე ატაცი და აკვრა. აჭიმვა — ეს შედარებით უფრო ძალისმიერი მოძრაობაა, ხოლო ატაცი და აკვრა გაცილებით რთული მოძრაობებია შესრულების მხრივ.

ამის დამამტკიცებელია საწვრთნელ მეცადინეობათა კვირეული ციკლის ერთი ვარიანტი, რომელიც დიდი ხანია დამკვიდრდა და რატომღაც დღემდეც უცვლელია. კვირეული ციკლის ამ ვარიანტის შინაარსი ასეთია: თუ ორშაბათს გათვალისწინებულია ვარჯიში აჭიმვასა და ატაცში, შემდგომ მეცადინეობაზე — ოთხშაბათს — ვარჯიში წარმოებს აჭიმვასა და აკვრაში, ხოლო პარასკევს კი ისევე აჭიმვასა და ატაცში. როგორც ვხედავთ, კვირის განმავლობაში აჭიმვა ყოველ მეცადინეობაზეა ჩართული, ხოლო ატაცი და აკვრა კი მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ ე. ი. აჭიმვას კვირეულ ციკლში მეტი დრო აქვს დათმობილი, ვიდრე ატაცსა და აკვრას.

საწვრთნელ მეცადინეობათა ასეთმა დაგეგმვამ არ შეიძლება უარყოფითად არ იმოქმედოს ატაცისა და აკვრის ტექნიკის ათვისებაზე, მით უმეტეს, რომ სწორედ ამ მოძრაობებში ენიჭება ტექნიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა.

გარდა ამისა მიღებულია, რომ საწვრთნელ მეცადინეობებზე პირველ მოძრაობად ყოველთვის აჭიმვაა, ხოლო შემდეგ მოძრაობად კი ატაცი ან აკვრა. აქაც ეძლევა პრივილეგია აჭიმვას, ვინაიდან აჭიმვაზე ვარჯიშს იწყებს დასვენებული ორგანიზმი, ხოლო ატაცზე ან აკვრაზე ძალოსანი გადადის მას შემდეგ, რაც ორგანიზმმა მიიღო საკმაოდ დიდი დატვირთვა და გადაღლილია.

რა თქმა უნდა, ასეთმა მდგომარეობამ არ შეიძლება უარყოფითად არ იმოქმედოს ისეთ ტექნიკურ მოძრაობათა ათვისებაზე და დახვეწაზე, როგორიცაა ატაცი და აკვრა.

ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ აჭიმვა პრიმიტიული მოძრაობაა ტექნიკის მხრივ, მაგრამ ატაცი და აკვრა ტექნიკურად უფრო რთული მოძრაობებია და მათი შესწავლისა და სრულყოფისათვის მეტი დრო და წვრთნაა საჭირო.

ატაცსა და აკვრაში [illegible] ჩამორჩენის [illegible] ძალოსნები ცდილობენ აჭიმვაში შედეგების გაზრდით. ეს უფრ[ო] იოლი გზაა. მაგრამ, როგორც გა[მო]ცდილება გვიჩვენებს, იგი გაუ[მა]რთლებელია და არ იძლევა სა[სუ]რველ შედეგებს.

ჩვენს წერილს არა აქვს პრე[ტ]ენზია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს საწვრთნე[ლი] მეცადინეობები ძალოსნობა[ში], მაგრამ ის კი ცხადია, რომ ა[მ] მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის და საჭიროებს დეტალურად შესწავლას, პრაქტიკულ შემოწმებას. ვფიქრობთ, ეს ხელს შეუწყობს აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და ჩვენი ძალოსნების ტექნიკური შედეგების ზრდა[ს].

საჭიროა აღნიშნულ საკითხზე თავიანთი მოსაზრებანი გამოთქვან მწვრთნელებმა, ძალოსნებმა, სპორტის ამ სახეობის სპეციალისტებმა და ამით ხელი შეუწყონ საერთო საქმის დადებითად გადაჭრას.

**შ. ბუაძე**

## რეგულარულად მეცადინეობენ

მესტია მაღალმთიანი რაიონია და ბაკურიანს თითქმის არაფრით ჩამოუვარდება სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის საჭირო პირობებით. სწორედ ეს გაითვალისწინეს, როცა მესტიაში სპორტსკოლის მძლეოსნობის ჯგუფებისათვის გამოყოფილი იქნა 22 წყვილი თხილამური თავისი აღჭურვილობით. ახლა სპორტსკოლის აღსაზრდელები რეგულარულად მეცადინეობენ სათხილამურო სპორტში, ხოლო თბილი ამინდების დადგომისთანავე კვლავ განაგრძობენ წვრთნას მძლეოსნობაში.

წვრთნის ამგვარი პირობები აქაურ სპორტსმენებს საშუალებას მისცემს მთელი წლის განმავლობაში შეინარჩუნონ სპორტული ფორმა და კარგი მაჩვენებლებით გამოვიდნენ შეჯიბრებებზე, როგორც მძლეოსნობაში, ისე სათხილამურო სპორტში.

**ვ. რატიანი**

## წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის ა. წ. 19 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „უპასუხისმგებლობის შედეგი" აღნიშნული იყო, რომ ზესტაფონის რაიონში მოისუსტებს ჭიდაობის სექციების მუშაობა, რასაც რაიონის ფიზკულტურის კომიტეტი, აგრეთვე სპორტული საზოგადოებები „კოლმეურნე" და „განთიადი" ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

როგორც პარტიის ზესტაფონის რაიკომიდან გვატყობინებენ, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს ლეკვეიშვილს მიეცა გაფრთხილება და დაევალა მიიღოს ზომები ჭიდაობის სექციათა მუშაობის გასაუმჯობესებლად.

## კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის შესახვედრად

## შრომისა და სპორტის ოსტატი

ადამიანზე, რომელიც ყოველმხრივ ჩაწვდება თავისი სამუშაოს საიდუმლოებას, დეტალურად გაიცნობს და შეისისხლხორცებს მას, მთელ თავის ცოდნას გაუზიარებს სხვას, მოახმარს საერთო საქმეს, იტყვიან — თავისი საქმის ოსტატიაო.

სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ტროლეიბუსის სამმართველოს ელექტროზეინკალი, კომკავშირელი რევაზ თეოფანოვი. დაუზარელი შრომა, ნაკისრ დავალებათა გადაჭარბებით შესრულება, სპორტის უანგარო სიყვარული — აი რამ გახადა იგი სამაგალითო ადამიანად. მან კარგად იცის, რომ მის ნაყოფიერ შრომას გარკვეული წვლილი შეაქვს ქალაქის ტრანსპორტის მიერ მგზავრთა კეთილმომსახურებაში. ამიტომაა, რომ იგი მზრუნველად დატრიალებს თვითეულ მანქანას, დეტალურად ამოწმებს მათ ავკარგიანობას და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის მორიგ „პაციენტზე".

რევაზთან ხშირად ნახავთ საკონსულტაციოდ მოსულ ამხანაგებს და ისიც მზად არის ყოველნაირად დაეხმაროს თავის კოლეგებს. აი ახლაც მასთან მივიდნენ ზეინკალ-ამწყობი ვ. იმხანიშვილი და მღებავი გ. ბოსიკაშვილი. მაგრამ მათ ხომ სხვადასხვა პროფესია აქვთ? ამოცანა არც ისე ძნელი ამოსახსნელია: რევაზმა სულ ახლახან მიიღო სპორტის ოსტატის წოდება თავისუფალ ჭიდაობაში და ამხანაგებს სურთ მისი გამოცდილების გაზიარება.

რევაზი გულწრფელადაა გახარებული ამხანაგების თხოვნით და განზრახვა აქვს ჩამოაყალიბოს ჭიდაობის სექცია ამავე სამმართველოს გარაჟის მძღოლ სპორტის ოსტატ ა. ალექპეროვთან ერთად. ჯანსაღ, შრომისუნარიან კოლექტივში კი ყველაფერი გაკეთდება.

მუშა სპორტსმენი რევაზ თეოფანოვი გაზრდილი ვალდებულებებითა და ახალი წარმატებებით ხვდება პარტიის XXI ყრილობას.

**გ. სამსონაძე**

## დააკმაყოფილეს ბულგარელთა თხოვნა

„უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს ბულგარელებმა საპარაშუტო სპორტში, მათ განსაკუთრებით ისახელეს თავი მსოფლიოს მესამე და მეოთხე ჩემპიონატზე, სადაც მესამე ადგილი მოიპოვეს საერთო გუნდურ ჩათვლაში, ხოლო სპორტის დამსახურებული ოსტატი ქ. ვოდენიჩაროვი ერთ-ერთი უძლიერესთაგანი იყო. ბულგარელმა პარაშუტისტებმა არაერთი შესწორება შეიტანეს აგრეთვე მსოფლიო რეკორდების ცხრილში. ბულგარელთა ყველა ეს დამსახურება გაითვალისწინა ავიაციის საერთაშორისო ფედერაციის საპარაშუტო სპორტის კომისიის ამას წინათ პარიზში გამართულმა სხდომამ, როცა დააკმაყოფილა ბულგარეთის ცენტრალური აეროკლუბის თხოვნა საპარაშუტო სპორტში მორიგი, V მსოფლიო ჩემპიონატის ბულგარეთში ჩატარების შესახებ.

# დავიბრუნოთ ქართული ფეხბურთის დიდება

ოსტატთა საგაზაფხულო შეკრება ძირითადად უნდა ემსახურებოდეს გუნდის შეთამაშებას, ძირითადი შემადგენლობის დადგენასა და წვრთნას, ხოლო ე. წ. საკონტროლო მატჩებში უნდა ხდებოდეს სხვადასხვა ხასიათის ექსპერიმენტები როგორც მოთამაშეთა შერჩევის, ისე ტაქტიკური ვარიანტების განხორციელების მიზნით.

თბილისის „დინამომ" ეს საბრძოლო შეთამაშება დააგვიანა და უკვე პირველივე მატჩებში ნათელი შეიქნა, რომ გუნდში დიდი რაოდენობით შეყვანილი ახალგაზრდობა არ იყო მზად ძლიერ მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად.

პირველივე მატჩის შემდეგ შეცვლილ იქნა ცენტრალური მცველი ძიაპშიპა და მაისური № 8 ჩააცვეს სიჭინავას. იგი ნაუცბათევად იქნა შეყვანილი შემადგენლობაში მეტად საპასუხისმგებლო თამაშებში და ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელმა, რომელსაც ჯერჯერობით მხოლოდ კარგი მონაცემები აქვს და გამოცდილება კი აკლია, ვერ იტვირთა ეს მძიმე როლი, ვერ შეეჩვია მას, აშკარად აკლდა სპეციალური მომზადება. ამან უარყოფითი დაღი დაამჩნია სიჭინავას თამაშს მთელი სეზონის მანძილზე. იგი ხშირად უშვებდა ტაქტიკური ხასიათის შეცდომებს, ზედმეტი აზარტით დასდევდა მოწინააღმდეგეებს მთელ მინდორზე და ყოველ შეტაკებას მათთან ამთავრებდა წესის დარღვევით, ჯარიმით.

ჩვენის აზრით, ეჭვს იწვევს თბილისელთა სამოქმედო სქემა. „დინამოს" თავდამსხმელებს წლების მანძილზე მრავლად გააქვთ ბურთები მოწინააღმდეგეთა კარში, მაგრამ მიღებული ბურთების რაოდენობა ყოველთვის ჭარბობს გატანილს. რაშია საქმე? რატომაა, რომ დინამოელებს ასეთი ბრძოლით და შრომით უხდებათ სხვისი კარის აღება, საკუთარი კი სა[...]მაოდ „სტუმართმოყვრულად" აქვ[თ] ღია.

ბრმად თამაში ერთი-ერთზე ა[რ] შეიძლება. დღევანდელ სინამდვი[ლე]ში სიჭინავამ უნდა ითამაშო[ს] მხოლოდ ზონაში, ურთიერთდა[...]ღვევის პრინციპის მკაცრი და[...]ვით და არავითარ შემთხვევაში არ დატოვოს ყველაზე სახიფათ[ო] ტერიტორია თავისი კარის წი[...]. „დინამოს" მცველებს ერთობ ქა[...]ტური წარმოდგენა აქვთ ურთი[...]ერთდაზღვევაზე. ნახევარმცვ[ელი], როგორც წესი, გართულია შეტე[...]ვით, მეტს ზრუნავს ბურთის გ[...] თამაშებაზე თავის თავდამსხმელე[...]ბთან და ნაკლებს — დაცვაზე. რო[...]ცა ამას ვლაპარაკობთ, ჩვენ არა[...]ფერი სასაყვედურო არა გვაქვ[ს] ლოლობერიძის მიმართ. იგი, უდა[...]ვოდ, უძლიერესი იყო გუნდში და ძველებური ბრწყინვალებით ას[...]რულებდა თავის ფუნქციებს. მაგ[...]რამ ისეთ ნახევარმცველს, როგო[...]რიც ლოლობერიძეა, ესაჭიროებ[ა] პარტნიორი, რომელიც პირველ[...] ყოვლისა, დაცვითს ფუნქციებ[ს] შეასრულებს. ხუნდაძე, როგორ[ც] ფეხბურთელი, უთუოდ ძლიერი[ა], მაგრამ იგი შემტევი სტილის ნახე[...]ვარმცველია, აქტიურად მონაწ[ი]ლეობს იერიშებში და ხშირა[დ] ვერ ასწრებს უკან დაბრუნება[ს], როცა ბურთი საკუთარი კარი[ს] უშუალო სიახლოესაა, ეს კი მო[...]წინააღმდეგისათვის ნამდვილი ს[...]ჩუქარია, გაცილებით უკეთესი იქ[...]ნებოდა წყვილი ლოლობერიძე[...] კოტრიკაძე, რომელიც მხოლო[დ] სეზონის დასასრულს იქნა ძალაშ[ი] შეყვანილი.

საკუთარი კარის დაცვის ორგა[...]ნიზაციაში გარკვეული მოვალეო[...]ბანი აკისრიათ შუამარბებსაც, რომლებიც მინდვრის შუაგულში მოწინააღმდეგესთან ბრძოლისა[ს] ერთგვარად მცველების როლში გამოდიან. მაგრამ არც ბარქაია და არც იამანიძე არ ასრულებდნენ ამ დაცვითს მოვალეობას. ეს მათი ბრალიცაა, რომ კონტრშეტევი[ს] შემთხვევაში ჩვენი გუნდი ხში[...]რად მცირერიცხოვანი ძალებით რჩებოდა მოწინააღმდეგეთა პარტ[...] ძალების წინააღმდეგ.

დასასრული. იხ. „ლელო" 151, 154.

(დასასრული იხ. მე-3 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტრადიციული შეჯიბრება

უკვე მეათე წელია თბილისში ტარდება კონსტიტუციის სახელობის თასის ტრადიციული გათამაშება ფეხბურთში. წელს გათამაშებაში მონაწილეობდნენ ფაბრიკა-ქარხნების, უწყებების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სხვა კოლექტივების 30 გუნდი.

ფინალში გავიდნენ რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს მომავალმა რკინიგზელებმა, რომლებმაც პირველად მოიპოვეს თასი.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილი ჰქონდა დისციპლინის დარღვევისა და ამორალური საქციელის შემთხვევებს. წესრიგის დამრღვევთა რიცხვს მიეკუთვნებიან ვ. მჭედლიშვილი, ვ. კობიძე, ვ. ბიკოვი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), გ. ბარბაქაძე, გ. ქურდაძე (მაუდ-კამვოლის კომბინატი), ა. ოდიშარია (სახელმწიფო უნივერსიტეტი). ფინალურ მატჩშიც კი მსაჯი იძულებული იყო მოედნიდან გაეძევებინა გამარჯვებული გუნდის წევრი გ. გოდერძიშვილი.

**ა. გონელი**

# საქართველო (ნაკრები) 11:5 სსრ კავშირი (ნაკრები)

### ამხანაგური მატჩი თავისუფალ ჭიდაობაში

საბჭოთა კავშირი, თურქეთი, ირანი, ბულგარეთი და იაპონია — აი ხუთი ქვეყანა, სადაც განსაკუთრებით პოპულარულია თავისუფალი ჭიდაობა. ეს ხუთეული სამართლიან პრეტენზიებს აცხადებს მსოფლიოში საუკეთესო გუნდის სახელზე. წლების მანძილზე მათ უაღრესად მწვავე ბრძოლა აქვთ პირველობისათვის და თუ წინათ მხოლოდ თურქეთის გუნდს ვხედავდით გამარჯვებულის როლში, უკანასკნელმა შეჯიბრებამ ძალთა თანაფარდობა რამდენადმე შეცვალა. მსოფლიოს თასის გათამაშებაზე საბჭოთა მოჭიდავეებმა ჩამოიტოვეს ყველა დანარჩენები და პირველი ადგილი დაიკავეს. ოფიციალურად ჩვენს გუნდს ჩემპიონის სახელი არა აქვს, ვინაიდან თასი — თასია, ჩემპიონატი კი სხვა. მაგრამ სპეციალისტებისათვის ეს არაფერს ნიშნავს. თასის გათამაშებაში იგივე გუნდები და სპორტსმენები გამოდიან, რომლებიც ჩემპიონატში, ასე რომ, მსოფლიოს უკანასკნელი არაოფიციალური ჩემპიონი საბჭოთა ქვეყნის ნაკრებია.

აი სწორედ ეს მრისხანე კოლექტივი ეწვია ამას წინათ თბილისს საქართველოს ნაკრებთან მატჩის ჩასატარებლად. ჩვენს რესპუბლიკაში ჭიდაობის სამამულო სკოლის შექმნაში დიდი ამაგი მიუძღვის. 1952 წლის ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული საქართველოს მოჭიდავეები წამყვან ბირთვს წარმოადგენდნენ ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში. ამის ნათელსაყოფად უბრალოდ გვარების ჩამოთვლაც საკმარისია: ა. მეკოკიშვილი, დ. ციმაკურიძე, ვ. ბალავაძე, მ. ცალქალამანიძე, გ. სხირტლაძე და ბევრი კიდევ სხვა.

სსრ კავშირის ნაკრები ქართველი ფალავნების გარეშე შეხვდა ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეთა ნაკრებს — უდავოდ საინტერესო სპორტული ბრძოლის მოწმენი უნდა ყოფილიყვნენ ჭიდაობის მრავალრიცხოვანი მოყვარულები. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ნაკრების შემადგენლობა საუკეთესო იყო. მისი მთელი რიგი წევრები (ძარასოვი, გურევიჩი, სინიავსკი, ძახსოროვი) სხვადასხვა მიზეზებით ვერ ჩამოვიდნენ თბილისში. არც საქართველოს გუნდის შემადგენლობა იყო სრული. მაგრამ ამხანაგური შეხვედრისათვის, რომელიც ამავე დროს საწვრთნელ და შერჩევით ხასიათს ატარებდა, ესეც საკმარისი იყო.

ზოგიერთი შეხვედრა ამ მატჩში (ცალქალამანიძე-კარავაევი, არსენიანი-ზამიატინი და ბალავაძე-ნებიერიძე) მეტად პრინციპული უნდა ყოფილიყო. ეს ყველამ იცოდა და მთელი ყურადღება ამ წყვილებისაკენ იყო მიმართული. არსენიანმა და ბალავაძემ უკანასკნელ ჩემპიონატში დამარცხება განიცადეს სწორედ მათთან, ამიტომ, რა თქმა უნდა, ისინი რევანშისათვის იყვნენ განწყობილნი.

ცალქალამანიძის წინააღმდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის ყოფილი ჩემპიონი ი. კარავაევი — გამოცდილი, ენერგიული მებრძოლი, ფიზიკურად ძლიერი მოჭიდავე. მიუხედავად ამისა, კარავაევისათვის ქართველი ფალავანი გადაულახავი ზღუდეა. აი რა თქვა თვით კარავაევმა: „უკვე რამდენი წელიწადია, რაც მირიანს ვიცნობ, მაგრამ ვერ იქნა და ვერ შევეგუე მისი ბრძოლის მანერას", რა აქვს ოლიმპიურ ჩემპიონს ასეთი „შეურიგებელი?" სწრაფი მოსაზრება, ელვისებური რეაქცია და უმდიდრესი გამოცდილება. ძნელად რომ აპატიოს ცალქალამანიძემ მოწინააღმდეგეს სულ უმნიშვნელო შეცდომა ან უყურადღებობა. ეს კარგად იცოდა კარავაევმა და პირველ 6 წუთს შეძლებისდაგვარად გაურბოდა კიდეც გართულებებს, რისთვისაც გაფრთხილებაც მიიღო. მაგრამ სიფრთხილის დაცვა დგომში უფრო შეიძლება, აუცილებელ ჩოქბჯენში კი ვინ იცის რა ხერხს, რა ტაქტიკურ ნაბიჯს შემოგთავაზებს მეტოქე.

ჩოქბჯენში ზევიდან ცალქალამანიძემ მოწინააღმდეგეს ფეხები ჩაუხვია და როცა კარავაევმა მთელი ყურადღება აქეთკენ გადაიტანა, მოულოდნელად დაუჭირა ხელი. დანარჩენი სწრაფად მოხდა. კარავაევმა სულ მცირე ხანს შეძლო წინააღმდეგობის გაწევა და ბოლოს დაწვა ორივე ბეჭზე. საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა პირველი სუფთა გამარჯვება.

ვ. არსენიანს მჩატე წონაში რამდენიმე მეტოქე ჰყავს, რომელთა შორის ლენინგრადელმა ი. ზამიატინმა მას ოქროს მედალიც კი „წაართვა". არსენიანი და ზამიატინი 6-ჯერ არიან ერთმანეთთან შენახვედრი. ოთხჯერ უპირატესობა არსენიანის მხარეს იყო, ერთხელ ბრძოლა ფრედ დამთავრდა და ერთხელ გაიმარჯვა ზამიატინმა. ეს იყო სწორედ უკანასკნელ საკავშირო პირველობაზე. ჩვენის აზრით, მაშინ არსენიანი შორს იყო თავისი ნამდვილი საბრძოლო სპორტული ფორმისაგან. ამ აზრის სისწორე არსენიანმა ამ დღეს დაამტკიცა.

მართალია, შეხვედრა ეფექტური ილეთით არ დამთავრებულა, მაგრამ ამ შეუპოვარ ბრძოლაში უპირატესობა მთლიანად თბილისელი მოჭიდავისა იყო. გამარჯვებას, რომელსაც არსენიანმა მიაღწია, თამამად შეიძლება ბრწყინვალე რევანში ვუწოდოთ.

მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა დაეკისრა ქვემსუბუქი წონის მოჭიდავეს გ. ჯინჭარაძეს. იგი უნდა შებრძოლებოდა ზედმიწევნით ტექნიკურ, დიდი ფიზიკური ძალის მქონე სპორტსმენს ნ. მუშეღიანს, რომელიც ნაკრების ერთ-ერთ, ყველაზე უფრო იმედიან წევრად ითვლება. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჯინჭარაძის ბრძოლამ მოლოდინს გადააჭარბა. იგი თანაბრად აქტიური იყო როგორც შეტევაში, ისე დაცვაში. მსაჯთა კოლეგიამ ეს შეხვედრა ფრედ აღნიშნა. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული მსუბუქი წონის მოჭიდავეების ლ. სალიმულინისა და ა. გვიმრაძის ორთაბრძოლაში. ახალგაზრდა ქართველმა სპორტსმენმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა გაბედული და აზრიანი მოქმედებით.

ამხანაგური მატჩის ცენტრში იდგა შეხვედრა ვ. ბალავაძესა და გ. ნებიერიძეს შორის. მაგრამ წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ ის, რასაც მოველოდით, არ მოხდა, უფრო სწორად შესაძლებლობათა გამოცდა ვერ მოხერხდა. გ. ნებიერიძემ უკანასკნელ ხანებში გაითქვა სახელი როგორც ნიჭიერმა, მომავლის მქონე მოჭიდავემ. მან საკავშირო ჩემპიონატში პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა. მაყურებელი მოელოდა, რომ ნებიერიძე ბრძოლის ისეთივე სურვილით გამოვიდოდა ამ შეხვედრაში, როგორიც მას გასულ ჩემპიონატში ჰქონდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ნებიერიძეს, როგორც ჩანს, არ სურდა თავისი ტიტულის ეჭვს ქვეშ დაყენება. მან აქტიურ ბრძოლას პირველ 6 წუთში აშკარად აარიდა თავი და ის, რომ უკანასკნელ 2 წუთში ბალავაძე რამდენიმეჯერ გაექცა გართულებებს, არამცდაარამც არ მეტყველებს ნებიერიძის სასარგებლოდ, ვინაიდან ტექნიკური ქულა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონს ჰქონდა აქტივში, საკმარისი იყო გამარჯვებისათვის.

ჩვენ ასე ვიტყოდით: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან წაგება სამარცხვინო არ უნდა იყოს ისეთი ახალგაზრდა და პერსპექტიული მოჭიდავისათვის, როგორიცაა ნებიერიძე. ბრძოლის სურვილით, გამარჯვების რწმენით რომ გამოსულიყო იგი სარბიელზე, მაყურებელი უფრო საინტერესო ბრძოლას ნახავდა და უკეთ შეაფასებდა კიეველის ოსტატობას.

საშუალო წონის მოჭიდავეთა ბრძოლაში (გ. სხირტლაძე — ნ. აქსიონოვი) მოხდა ორი მოულოდნელობა, რამაც განსაზღვრა მთელი შეხვედრის მსვლელობა. ერთ მათგანს ადგილი ჰქონდა პირველ, ხოლო მეორეს უკანასკნელ წუთზე. აქსიონოვმა დასაწყისშივე უეცარი მოგვერდით კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა სხირტლაძე. ხიდმა იხსნა იგი სუფთა წაგებისაგან. მთელი შემდგომი ბრძოლა სხირტლაძემ დაკარგული ქულების ანაზღაურებას მოანდომა და ბოლოს, უკანასკნელ წუთზე ასევე მოულოდნელად გადაატრიალა აქსიონოვი. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ სხირტლაძემ გამოიყენა შემთხვევა და სუფთა გამარჯვებას მიაღწია.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი საშუალო წონაში გ. გობეჯიშვილი ამჯერად გუნდის ინტერესებისათვის ქვემძიმე წონაში გამოვიდა. მისი მეტოქე იყო ლენინგრადელი ა. ალბული, რომელმაც დამაჯერებლად მოიგო ეს შეხვედრა. მძიმე წონაში ერთმანეთს შეხვდნენ ბ. კულაევი და ვ. ბათლიძე. 12-წუთიანმა თანაბარმა ბრძოლამ ვერ გამოავლინა უძლიერესი. ფრე — ასეთი იყო მსაჯთა კოლეგიის ფორმულირება.

სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდების შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 11:5. ჩვენმა მოჭიდავეებმა მოიგეს 4 შეხვედრა, ფრედ დაამთავრეს სამი და წააგეს მხოლოდ ერთი.

**ნ. ბუბუშვილი**

(დასასრული)

**ჩვენი გუნდის თავდასხმამ ძირითადად კარგად ჩაატარა თამაშები, მაგრამ ვერ იქნა და მთელი სეზონის განმავლობაში ვერ გამოიძებნა „შტატიანი" ფეხბურთელი მარჯვენა გარემარბის ადგილზე. მოთამაშეთა ასეთ ხშირ ცვლას მარჯვენა ფრთაზე მნიშვნელოვანი დისონანსი შეჰქონდა თავდასხმის საერთო თამაშში.**

**რამდენიმე სიტყვა გვინდა ვთქვათ „დინამოს" ცენტრალური თავდამსხმელის შესახებ. მელაშვილს აქვს კარგი ფიზიკური მონაცემები და უაღრესად ძვირფასი თვისება ფეხბურთელისათვის — ძლიერი დარტყმა კარში. მაგრამ მელაშვილის თამაშში წელს ჩვენ ვერც კარში დარტყმები ვნახეთ და ვერც სხვა მონაცემები. იგი არ ჩანდა მინდორზე. მელაშვილს აქვს გარკვეული ნაკლოვანებები, რომლებიც მისმა პარტნიორებმა უნდა შეავსონ თამაშის დროს. შეტევა უნდა წარიმართოს ისე, რომ მელაშვილს გაეხსნას სამოქმედო ადგილი, გავიდეს ხელსაყრელ პოზიციაში გადამწყვეტი დარტყმისათვის, ისეთ შეჯგუფულ შეტევაში კი, როგორიც „დინამოს" თავდასხმას აქვს, მელაშვილი გამოუსადეგარია. მან უნდა გამოიჩინოს მეტი ინიციატივა და გაბედულება, აიღოს თამაში თავის თავზე, გავიდეს წინა პოზიციაზე, რათა მოწინააღმდეგე განუწყვეტელ შიშში იმყოფებოდეს.**

**„დინამოს" თავდამსხმელთა საერთო ავადმყოფობაა ბურთის ზედმეტი ტარება. ისინი პარტნიორს კი არ აწვდიან ბურთს, არამედ ცდილობენ მიიტანონ მასთან, რაც მოთამაშეთა დიდ თავშეყრას იწვევს. მაგალითისათვის შეიძლება იამანიძის დასახელება. ეს მაღალტექნიკური ფორვარდი ხშირად ერთობა ბურთის ტარებით, ვერ ამჩნევს თავისუფალ ადგილზე გასულ პარტნიორს და სრულიად ოთხ სამუშაოს ზოგჯერ ხამაგი შრომის დახარჯვით ასრულებს და ამ შრომასაც ხშირად უნაყოფოდ კარგავს.**

**ბურთის ტარება და დრიბლინგი უნდა ემსახურებოდეს მოწინააღმდეგის დაცვის დეზორგანიზაციის მიზნებს, ჩვენს თავდამსხმელებს პირიქით გამოსდით — ისინი გაუთავებლად ატარებენ ბურთს მინდვრის შუაგულში და გადაცემას იწყებენ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, სადაც საამისო საშუალებანი მინიმუმამდეა დაყვანილი. დრიბლინგი კი გაცილებით უფრო ეფექტური საშუალებაა სწორედ საჯარიმო მოედანზე.**

**ერთადერთი, რომელიც ამას სწორად აკეთებს, ესაა მესხი — მეტად ორიგინალური დრიბლინგისა და ფინტის მოთამაშე. მესხის დადებითი მხარეების შესახებ ჩვენ ლაპარაკს არ მოვყვებით. ეს ყველასათვის ცნობილია. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ის, რომ ეს შესანიშნავი ფეხბურთელი ზედმეტად იკეტება თავის ფლანგზე, არ აწარმოებს მანევრებს მინდვრის მთელ სიგანეზე. თუ ბურთი მარცხენა ფლანგზე არ იქნა მიწოდებული (რაც ხშირად ხდება), მესხი უქმად დგას ხოლმე. მან უნდა გაიფართოვოს სამოქმედო ტერიტორია, თავის არსენალში შეიტანოს სიახლენი და იქნება საუკეთესო თავდამსხმელი არა მარტო ჩვენი გუნდისათვის, არამედ გაცილებით უფრო დიდი მასშტაბით.**

**არათანაბრად ჩაატარეს თამაში „დინამოს" მეკარეებმა. კარგი მონაცემები აქვს ს კოტრიკაძეს, მაგრამ იგი არ ეძებს უბრალო, ტაქტიკურად სწორ გზას, ხოლო გარეგნულ ეფექტებზე აგებული თამაში ძალზე სახიფათოა და ხშირად ცუდად მთავრდება ხოლმე. გაცილებით უკეთესად შეუძლია კარის დაცვა კვაჰაძეს, მაგრამ მას აკლია ხასიათის სიმტკიცე, სტაბილურობა.**

**თბილისის „დინამო" ამჟამად ძირითადად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული. ესაა კარგი მომავლის მქონე ძალა და თუ სწორად იქნება გათვალისწინებული ძველი შეცდომები, თუ დროზე იქნა მიღებული ღონისძიებანი მათი გამოსწორებისათვის, გუნდი გაცილებით უკეთეს შედეგებს მიაღწევს.**

**საქართველოს საუკეთესო გუნდების ბედ-იღბალი არაა მხოლოდ ვიწრო წრის საქმე. ამით დაინტერესებულია მთელი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა, დაინტერესებული არიან სპორტული წრეები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ამიტომ მომავალ სეზონში ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქართულმა ფეხბურთმა ბოლოსდაბოლოს დაიბრუნოს თავისი დიდება.**

**ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საქართველოს გუნდები კვლავ ბრწყინავდნენ დიდი ფეხბურთის ასპარეზზე.**

**ნ. ჩხატარაშვილი,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
**ბ. ქორქია.**

## ქალაქის ახალი ჩემპიონები

ამ დღეებში „განთიადის" სპორტულ დარბაზში დამთავრდა თბილისის პირადი პირველობა მაგიდის ჩოგბურთში.

ვაჟთა შორის შეჯიბრება ქულათა ერთნაირი რაოდენობით დაამთავრეს რ. კუდაშვილმა და ვ. ლარიბაშვილმა. აღსანიშნავია, რომ ვ. ლარიბაშვილი დამარცხდა დ. ასლანიანთან შეხვედრაში, მაგრამ მან თავის მხრივ დაამარცხა რ. კუდაშვილი. ჩემპიონის გამოსავლენად დანიშნა დამატებითი შეხვედრა, რომელიც დაძაბულ ბრძოლაში მოიგო კუდაშვილმა (3:2). ლარიბაშვილი მეორე ადგილზე დარჩა.

არანაკლები დაძაბულობით ხასიათდება ქალთა შეხვედრები. საქართველოს ჩემპიონმა ე. ხანთაძემ წააგო ბრძოლა ე. დომანტევიჩთან. ამის გამო ჩემპიონს მოუხდა დამატებითი შეხვედრის ჩატარება ნ. ყუფარაძესთან. გადამწყვეტი მატჩი ყუფარაძემ კარგად ჩაატარა, დაამარცხა ძლიერი მოწინააღმდეგე და მოიპოვა ქალაქის ჩემპიონის წოდება.

რესპუბლიკის ჩემპიონმა ვაჟთა წყვილში რ. კუდაშვილმა და ვ. ლარიბაშვილმა დამარცხება განიცადეს ახალგაზრდა მაგიდის ჩოგბურთელებისაგან გ. იზაშვილისა და შ. შარაშენიძისაგან. ქალაქის ჩემპიონი ამ კატეგორიაში გახდა დ. ასლანიან-ა. არუთინოვის წყვილი. შერეულ წყვილთა შორის უძლიერესები იყვნენ ნ. ფერაძე, დ. ასლანიანი.

**ლ. თუშიშვილი**

## სპორტსკოლის პირველობა

თბილისის ფიზკულტურის კომიტეტის საჭიდაო დარბაზში დამთავრდა საქალაქო შეჯიბრება განათლების განყოფილების პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში.

პირველთანრიგოსანთა შორის საინტერესო იყო მჩატე წონის მოჭიდავეების როსტიაშვილისა და ხაჩატუროვის შეხვედრა, 12 წუთის განმავლობაში ვერც ერთმა მოჭიდავემ ვერ შეძლო გადამწყვეტი ქულების მოგროვება და შეხვედრაც დამთავრდა ფრედ. ამ წონაში კარგად ჩაატარა ყველა შეხვედრა ზ. ტორაძემ და დაიკავა პირველი ადგილი. მეორეზეა ა. როსტიაშვილი.

პირველ თანრიგში წონითი კატეგორიების მიხედვით პირველები იყვნენ: გ. აბასოვი, ზ. ტორაძე, რ. რურუა, ზ. ჩაჩანიშვილი, ე. სხირტლაძე, ვ. თვაური და ნ. ერემეიშვილი. მეორე და მესამეთანრიგოსანთა შორის პირველ ადგილებზე გამოვიდნენ: გ. ქიმერიძე, გ. შევჩენკო, ლ. ხარტიშვილი, ბ. გონგაძე, ო. ჩხენკელი, ტ. ნიჟარაძე და ვ. ხვედელიძე.

**ი. ჩხარტიშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**

## მოჭადრაკეთა წრე ქარხანაში

მესამე წელია, რაც ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხანაში მუშაობს საჭადრაკო წრე, რომელშიც 25 კაცია გაერთიანებული. წრეს ხელმძღვანელობს ქარხნის კადრების უფროსი პ. ემელიანოვი.

აქ ამას წინათ მოეწყო ტურნირი, სადაც პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს ინჟინრებმა გ. გავრინოვიჩმა და ი. გოგოლაძემ.

**ფ. მაისურაძე,**

ჩვენი კალენდარი

## ემანუილ ლასკერი

(დაბადებიდან 90 წლისთავის გამო)

„რა ვიქნებოდი მე, რომ არ ყოფილიყო ლასკერი" — თქვა ერთხელ რუსული ჭადრაკის გენიამ ა. ალიოხინმა. მართლაც, ლასკერის მდიდარი შემოქმედება გამოჩენილი მოჭადრაკეებისათვისაც კი შემეცნების დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენდა ყოველთვის. ლასკერი, რომელიც 27 წლის მანძილზე მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მფლობელი იყო, დიდი მოჭადრაკე და მოაზროვნეა. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა ჭადრაკს, მათემატიკასა და ფილოსოფიას (ამ ორ უკანასკნელში იგი მეცნიერებათა დოქტორი იყო), მაგრამ დაუღალავი მოღვაწეობით წარუშლელი კვალი მხოლოდ ჭადრაკში დატოვა.

ჩვენ არ შევუდგებით ე. ლასკერის ვრცელი სპორტული ბიოგრაფიის გადმოცემას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ლასკერს (1868-1941 წ.) სამი ათეული წლის მანძილზე ტოლი არა ჰყავდა და მოყოლებული 1895 წლიდან 1925 წლამდე იგი თითქმის ყველა დიდი ტურნირის პირველი პრიზიორი იყო. მან ღრმა მოხუცებულობაშიც კი შეინარჩუნა უჩვეულო საჭადრაკო ძალა. მაგალითად, 1935 წელს მოსკოვის მეორე საერთაშორისო ტურნირზე 67 წლის ლასკერმა მესამე ადგილი დაიკავა. ეს იყო პირველი უცხოელი მოჭადრაკე, რომელმაც სცნო რევოლუციური რუსეთი და 1924 წელს ჩამოვიდა საგასტროლოდ, ხოლო გერმანიაში ფაშისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ იგი მოსკოვში ცხოვრობდა.

ყურადღების ღირსია ე. ლასკერის შეხედულებანი ჭადრაკზე. „საჭადრაკო დაფაზე იბრძვიან ადამიანები და არა ხის ფიგურები" — უყვარდა თქმა ლასკერს. გამოდიოდა რა ამ დებულებიდან, ლასკერი ყოველთვის აქტიური მებრძოლი იყო ტურნირებშიც და მატჩებშიც. იგი თამაშობდა მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიის გათვალისწინებით. როგორც ცნობილია, თამაშში ძირითადია გქონდეს კარგი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ფიგურების შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოყენებას. ლასკერი ავითარებდა ვ. სტეინიცის ამ შეხედულებას: „ოსტატის გეგმა, — წერდა იგი, — უნდა იყოს დაფუძნებული პოზიციის შეფასებაზე. შეაფასო — ნიშნავს კრიტიკულად ასწონ-დასწონო... ყოველი პოზიცია ხასიათდება თავისი განმასხვავებელი კონკრეტულობით, აქვს რაღაცა ნიშანი, რომლის საფუძველზე შეიძლება გამოიცნო კომბინაცია ჯერ კიდევ მის წარმოშობამდე".

ლასკერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საჭადრაკო ბრძოლის მეთოდების ცოდნას. ისინი უქმნობი იქნებიან ასი წლის შემდეგაცო — ამბობდა იგი.

ლასკერის საჭადრაკო მემკვიდრეობა ბევრ დავას იწვევდა და არ იყო სათანადოდ შესწავლილი. ამიტომ მისასალმებელია ის, რომ მომავალ წელს გამოვა ჭადრაკის ამ უქმნობი კორიფეის შემოქმედებისადმი მიძღვნილი შრომა.

**თ. გიორგაძე**



1958 წელს კიევში 20 მოშაშე პირველად ცდიდა თავს 100-უჯრიან შაშში. სამდღიანი ბრძოლის შემდეგ პირველი ადგილი დაიკავა ახალგაზრდა პირველთანრიგოსანმა ი. კუპერმანმა, 1958 წლის ოქტომბერში კი ი. კუპერმანმა დაამარცხა კანადელი გროსმაისტერი დელორე და გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

ი. კუპერმანი ნიჭიერი ინჟინერ-კონსტრუქტორია და მუშაობს „უკრგიპროსტრომატერიალის" სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტში. საღამოობით მას ნახავთ მუშათა კლუბებსა და კულტურის სახლებში, სადაც ქალაქის მოშაშეებთან არჩევს მსოფლიო პირველობაზე გათამაშებულ პარტიებს, ატარებს ერთდროული თამაშის სეანსებს.

* * *

სურათზე: გროსმაისტერი ი. კუპერმანი ერთდროული თამაშის სეანსის დროს.

ფოტო ვ. სიჩევისა.

## ყოველი მხრიდან

ბოლონია იტალიის ტანმოვარჯიშე ქალთა ჩემპიონატში გაიმარჯვა მირანდა ჩიკონიანიმ — 74,60 ქულა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ როზელა ჩიკონიანი (74,15) და ლაგორარა (72,45). გოგონათა შორის უძლიერესი იყო ფეგეროცი (71,30).

**მონრეალი.** ქვემძიმე წონის პროფესიონალმა მოკრივემ, მსოფლიო ჩემპიონმა არჩი მურმა, ამას წინათ მე-11 რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა კანადელი ივონ დიულერი. ნიჭიერ ზანგ მოკრივეს სულ ჩატარებული აქვს 175 შეხვედრა, რომელთაგან 127 ნოკაუტით აქვს მოგებული.

შეტინი. ჩეხმა მოცურავემ პაზდირეკმა 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში აჩვენა 1.03,6 ეს შედეგი ჩეხოსლოვაკიის ახალი რეკორდია.

პარიზი. კუბერტენის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა მოფარიკავეთა (რაპირაში) საერთაშორისო შეჯიბრება მარტინის თასზე. მონაწილეობდა საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, უნგრეთის, გფრ-ს და ავსტრალიის 110 სპორტსმენი. ფინალში უნგრელმა იენო კამუტიმ დაამარცხა (10:7) ინგლისელი ალენ ჯეი და პირველი ადგილი დაიკავა.

**ლაიპციგი.** ადგილობრივმა კლასიკური სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა დამარცხება განიცადა კრაკოვის გუნდთან ანგარიშით — 12:4.

**პეკინი.** აქ აშენდა ველოტრეკი სიგრძით 333,33 მეტრი. იგი იტევს 5.000 მაყურებელს და კარგად არის ელექტროფიცირებული. განზრახულია შეჯიბრებების მოწყობა ამ ტრეკზე საღამოს საათებში.

**ჰამბურგი.** ევროპის პირველობაზე პროფესიონალ მოკრივეთა შორის ქვემძიმე წონაში ერთმანეთს შეხვდნენ გერმანელი სპორტსმენები ერიჰ შოპნერი და ვილი ჰოპნერი. ბრძოლა მეხუთე რაუნდში ნოკაუტით მოიგო ერიჰ შოპნერმა.

**სტოკჰოლმი.** ევროპის ჩოგბურთელთა არაოფიციალურ პირველობაზე (დახურული კორტები) ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ შვეციისა და დანიის სპორტსმენები. გაიმარჯვეს შვედებმა—3:2.

**რედაქტორი ი. უგულავა.**


28—29—30 დეკემბერს

ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტული დარბაზი

საერთაშორისო შეხვედრა

„ბურევესტნიკი" თბილისი —
„ჩეპელი" უნგრეთი

„დინამო" თბილისი —
„ჩეპელი" უნგრეთი

საქართველოს ნაკრები —
„ჩეპელი" უნგრეთი

დასაწყისი 20 საათზე.



მოჭადრაკეთა XXVI საკავშირო ჩემპიონატზე დასასწრებად ჟიურის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოუშვა

აბონემენტები

პირველ ათ ტურზე აბონემენტებისა და აგრეთვე ბილეთების შეძენის მსურველებმა განაცხადი უნდა შეიტანონ 5 იანვრამდე, რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში. რუსთაველის პრ. № 48.



გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილის- „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის—3 89 62. მდივნისა და განყოფილებების — 3 90 84.





საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 08212


ეროვნული ბიბლიოთეკა